



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 244

ქალაქი ქუთაისი 21 მარტი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
უძრავი ქონების /მიწის ნაკვეთი/ სახელმწიფოსათვის
უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ-დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 7 მარტის N6/10556 მომართვის, შპს „აია ინტერტიმენტის“ დირექტორის 2016 წლის 17 თებერვლის N1/02 და 2016 წლის 7 მარტის N1/03 წერილების, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის, გივი ჭიჭინაძის 2016 წლის 14 მარტის N02/636 მომართვის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 10 მარტის N6/11159 მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება /მიწის ნაკვეთი/ მდებარე, ქალაქი ქუთაისში, შერვაშიძის ქუჩა N53-ის აღმოსავლეთით, ფართობით 204606.0 კვ.მ. /საკადასტრო კოდი N03.01.22.281/.

მუხლი 2. სახელმწიფოს მიერ ზემოაღნიშნული უძრავი ქონების /მიწის ნაკვეთი/ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება განხორციელდეს შპს „აია ინტერტიმენტის“ მიერ წარმოდგენილი საინვესტიციო პაკეტების განხორციელების მიზნით. თუ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე /მიწის ნაკვეთი/ არ მოხდება შპს „აია ინტერტიმენტის“ მიერ წარმოდგენილი საინვესტიციო პაკეტების განხორციელება, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებამოსილებას, სახელმწიფოსგან უძრავი ქონების /მიწის ნაკვეთი/ დაბრუნების მოთხოვნით.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განხორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.